გურთიად
GÜRTİAD
ქართველ და თურქ ბიზნესმენთა ასოციაცია
GÜRCÜ VE TÜRK İŞADAMLARI DERNEĞİ

HAFTALIK EKONOMİ BÜLTENİ

კვირის ეკონომიკური გამოცემა

2020 / 24 – 01 Mayıs / მაისი

Nüfus / მოსახლეობა	GSYİH ($) / მშპ ($)	GSYH (büyüme) /მშპ	İşsizlik / უმუშევრობა	Enflasyon/ინფლაცია
3 719.9	4 763.5	5.1 %	11.6 %	6.1%

Gürcistan'ın GSYİH Mart 2020
საქართველოს მშპ 2020 წლის მარტი

2020 Yılı Mart ay döneminde, bir önceki yılın verilerine göre Gürcistan'ın Gayrı Safi Yurtiçi Hasıla %(-2.7) azaldı. Yılın ilk çeyreğinde ortalama büyüme oranı %1.5 teşkil etmiştir.

Mart 2020'de, büyüme sadece iletişim sektöründe gözlenmiştir, ekonominin diğer tüm sektörlerde: ulaşım; perakende sektörü, finans ve sigortacılık, eğlence ve dinlenme, yiyecek ve içecek, sanayi ve gayrimenkul – azalma görülmüştür.

წინასწარი შეფასებით, 2020 წლის მარტში, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, რეალური მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) ზრდამ -2.7 პროცენტი შეადგინა, ხოლო I კვარტალის საშუალო რეალური ზრდა 1.5 პროცენტით განისაზღვრა.

2020 წლის მარტში ეკონომიკური დარგებიდან ზრდა მხოლოდ კომუნიკაციის სექტორში შეინიშნებოდა. კლება დაფიქსირდა თითქმის ყველა სხვა სექტორში: ტრანსპორტი, საცალო და საბითუმო ვაჭრობა, დაზღვევა და ფინანსები, გართობა და დასვენება, კვება, დამამუშავებელი მრეწველობა, უძრავი ქონება.

Korona Virüs
კორონა ვირუსი

Son istatistik verilerine göre dünya çapında Korona Virüs vakalarının sayısı 3.3 milyonu aşmıştır. Worldometers'e dayanarak, vakaların sayısı 3 322 814, vefat eden kişi sayısı – 234 408, iyileşen kişi sayısı – 1 050 408. En çok vaka sayısı ABD, İspanya, İtalya, Fransa ve Almanya'da görülmüştür. Konu ile alakalı diğer detaylar aşağıdaki tabloda bulunmaktadır.

Gürcistan Hükümetler Arası Koordinasyon Konseyi tarafından planlanan hava uçuşların (30'dan daha fazla özel uçuş), kara ve deniz transferlerin sonucunda, dünyanın farklı ülkelerinden yaklaşık 9.000 Gürcistan vatandaşı ülkeye geri döndü.

Ülke ქვეყანა	Toplam Vaka ფაქტი	Ölüm გარდაცვალება	İyileşme გამოჯანმრთელება	Hasta პაციენტი
ABD / აშშ	1 095 304	63 871	155 737	875 696
İspanya / ესპანეთი	239 639	24 543	137 984	77 112
İtalya / იტალია	205 463	27 967	75 945	101 551
Birleşik Krallık / დიდი ბრიტანეთი	171 253	26 771	N/A	144 138
Fransa / საფრანგეთი	167 178	24 376	49 476	93 326
Almanya / გერმანია	163 009	6 623	123 500	32 886
Türkiye / თურქეთი	120 204	3 174	48 886	68 144
Rusya / რუსეთი	106 498	1 073	11 619	93 806
İran / ირანი	94 640	6 028	75 103	13 509
Brezilya / ბრაზილია	87 187	6 006	35 935	45 246
Gürcistan / საქართველო	566	6	184	376
Total (Dünya) სულ (მსოფლიო)	3 322 814	234 408	1 050 408	2 037 998

კორონა ვირუსით ინფიცირებულთა რიცხვმა მსოფლიოს მასშტაბით, ბოლო სტატისტიკური მონაცემებით 3.3 მილიონს გადააჭარბა. Worldometers-ის ცნობით, ჯამში, ახალი ვირუსით 3 322 814 ადამიანი დაინფიცირდა, გარდაიცვალა 234 408 პაციენტი, ხოლო გამოჯანმრთელდა 1 050 408 პირი. ყველაზე მეტი ინფიცირებული ამ ეტაპისთვის აშშ-ს, ესპანეთს, იტალიას, გაერთიანებულ სამეფოს და საფრანგეთს ჰყავს. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებული დამატებითი სტატისტიკა ქვემოთ მოცემულ ცხრილში შეგიძლიათ იხილოთ.

30 აპრილის მონაცემებით, საქართველოს უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს მიერ დაგეგმილი საჰაერო რეისებით (განხორციელდა 30-ზე მეტი სპეციალური რეისი), სახმელეთო და საზღვაო გზებით, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან საქართველოში 9 000-მდე მოქალაქე დაბრუნდა.

AK YIL ZEMİN Ank Catering ARKAS GEORGIA LLC EM Ermed GEORGIA İŞBANK KOÇ KABLO LC WAIKIKI ნაბახტარი MAQRO CONSTRUCTION nurol ŞİŞECAM Ziraat Bankası

Gürcistan'ın Demografik Verileri
საქართველოს დემოგრაფიული მონაცემები

Gürcistan Milli İstatistik Kurumun verilerinden derlenen bilgilere göre Gürcistan'ın nüfusu 1 Ocak 2020 itibariyle 3 716.9 bin kişidir (azalma oranı %0.2). İstatistik verilere göre doğal bir artışla (1 637) beraber negatif göç süreci de (-8 243) kaydedildi. 1 Ocak 2020 itibarıyla Gürcistan nüfusunun %48 (1 790,3 bin) erkek ve %52 (1 926,6 bin) kadındır.

1 Ocak 2020 itibariyle Gürcistan nüfusunun %59.0 il ve ilçe merkezlerinde ikamet etmiştir. Bununla beraber, Tiflis nüfusu toplam nüfusun üçte biri olmuştur. 0-14 yaş arasındaki kişilerin sayısı toplam nüfusun %20.4; 15-64 yaş arasındaki kişilerin sayısı toplam nüfusun %64.5; 65 yaş ve üzeri kişilerin sayısı ise toplam nüfusun %20.4 teşkil etmiştir.

2020 წლის 1 იანვრის მდგომარეობით საქართველოს მოსახლეობის რიცხოვნობამ 3 716.9 ათასი კაცი შეადგინა (კლება 0.2%). სტატისტიკური მონაცემების მიხედვით 2019 წელს დაფიქსირდა ბუნებრივი მატება (1 637) და უარყოფითი მიგრაციული სალდო (-8 243). 2020 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, საქართველოს მოსახლეობის 48 პროცენტი მამაკაცია - 1 790.3, ხოლო 52 პროცენტი ქალია - 1 926.6.

2020 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, საქართველოს მოსახლეობის 59.0 პროცენტი ცხოვრობდა საქალაქო დასახლებებში. ამასთან, ქ. თბილისის მოსახლეობა მთლიანი მოსახლეობის თითქმის მესამედს წარმოადგენს. 2020 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, 0-14 წლის მოსახლეობის წილი მთელ მოსახლეობაში 20.4% შეადგენს, შრომისუნარიან ასაკში მყოფი მოსახლეობის წილი (15-64 წლის ასაკობრივი ჯგუფი) – 64.5 პროცენტს, ხოლო 65 წლის და უფროსი ასაკის მოსახლეობის წილი - 15.1 პროცენტს.

Yasa Değişikliği
საკონონმდებლო ცვლილება

Değerli üyemiz, ülkedeki mevcut yasal değişiklikler hakkında her iki dilde makale "Nodia, Urumashvili & Partners" www.nplaw.ge şirket tarafından hazırlanmıştır. Derneğimiz "Nodia, Urumashvili & Partners" şirketine işbirliği içi yürekten teşekkür eder, hazırlanan makalesini bilgilerinize sunarız.

ძვირფასო წევრებო, ქვეყანაში მიმდინარე საკანონმდებლო ცვლილებებთან დაკავშირებული ორენოვანი სტატია მოამზადა ასოციაციის წევრმა „ნოდია, ურუმაშვილი და პარტნიორები“

www.nplaw.ge ასოციაცია გულითად მადლობას უხდის თანამშრომლობისთვის კომპანიას „ნოდია, ურუმაშვილი და პარტნიორები“ და გთავაზობთ მომზადებულ მასალას.

24 Nisan 2020 tarihinde öncelikle kullanılan gıda ürünlerinin fiyatlarının arttırılmaması ile ilgili devlet programını belirlenen Gürcistan Hükümetinin 185 numaralı kararında değişikliği yapılmıştır.

Devlet programının amacı öncelikle kullanılan gıda ürünlerinin mevcut perakende satış fiyatlarının elde tutulmasıdır. Mali destek, 15 Mart 2020 tarihinden 15 Mayıs 2020 tarihi dahil olmak üzere ithalat edilmiş gıda ürünlerinin gümrük değeri ve 10 Mart 2020 tarihine kadar en son ithalat edilmiş gıda ürünlerinin gümrük değeri arasındaki farklılığa yönelik, tarım geliştirme ajansı tarafından belirlenmiş mali destek hesaplama kuralına göre gerçekleştirilecektir. Ayrıca, mali destek 01 Mart 2019 tarihinden 31 Mayıs 2019 tarihi dahil olmak üzere Gürcistan'a ithal edilmiş gıda ürünleri toplam gümrük değeriyle ilgili de yapılacaktır. Mali destek süreci 15 Temmuz 2020 tarihi dahil devam etmektedir.

2020 წლის 24 აპრილს ცვლილება განხორციელდა საქართველოს მთავრობის N185 დადგენილებაში, რომლითაც განსაზღვრულია პირველადი მოხმარების სასურსათო პროდუქტებზე ფასების შენარჩუნების სახელმწიფო პროგრამა.

სახელმწიფო პროგრამის მიზანია პირველადი მოხმარების სასურსათო პროდუქტებზე არსებული საცალო სარეალიზაციო ფასების შენარჩუნება. სუბსიდირება განხორციელდება 2020 წლის 15 მარტიდან 2020 წლის 15 მაისის ჩათვლით არაუმეტეს იმპორტირებული პროდუქტის საბაჟო ღირებულებასა და 2020 წლის 10 მარტის მდგომარეობით უკანასკნელად იმპორტირებული შესაბამისი პროდუქტ(ებ)ის საბაჟო ღირებულებებს შორის არსებულ სხვაობაზე, სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სააგენტოს მიერ დადგენილი სუბსიდიის გამოთვლის წესის მიხედვით. ამასთან, სუბსიდია განხორციელდება პროდუქტის იმ ჯამური მოცულობის საბაჟო ღირებულებაზე, რომელიც საქართველოში იმპორტირებული იყო 2019 წლის 1 მარტიდან 2019 წლის 31 მაისის ჩათვლით. სუბსიდირება განხორციელდება 2020 წლის 15 ივლისის ჩათვლით.

Resmi Kur Göstergeleri / ოფიციალური გაცვლითი კურსი (01.05.2020)

USD/GEL – 3.2060 TRY/GEL – 0.4590 EUR/GEL – 3.4878 GBP/GEL – 4.0094

GEL/USD

27 – 01 Mayıs/მაისი 2020

TRY/USD

27 – 01 Mayıs/მაისი 2020

TRY/GEL

27 – 01 Mayıs/მაისი 2020